№ 260
1877

ᲘᲕᲔᲠᲘᲐ

№ 260
1903

დეკემბერი 5, პარასკევი 1903 წ.

ᲧᲝᲕᲔᲚ ᲓᲦᲘᲣᲠᲘ ᲡᲐᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲝ-ᲓᲐ ᲡᲐᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲝ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

დეკემბერი 5, პარასკევი 1903 წ.

რედაქციისაგან

უმორჩილესად ვსთხოვთ იმ ხელის მომწერთ, რომელთაც გაზეთის ფული სრულად არ შემოუტანიათ, დაანჩარონ ფულის შემოტანა.

პირველ დეკემბრიდან წლის დამლევამდე

გაზ. „ᲘᲕᲔᲠᲘᲐ“

ᲦᲚᲘᲡ 1 ᲗᲐᲜ. 50 ᲙᲐᲞ.

გაზეთის „ივერიის“ ფასი თვეობით 12 თვით—10 მან., 11 თვით—9 მ. 50 კ., 10 თვით—8 მ. 75 კ., 9 თვით—8 მ., 8 თვით—7 მ. 25 კ., 7 თვით—6 მ. 75 კ., 6 თვით—6 მ., 5 თვით—5 მ. 50 კაპ. 4 თვით—4 მ. 75 კ., 3 თვით—3 მან. 50 კ., 2 თვით—2 მ. 75 კაპ., 1 თვით—1 მან. 50 კაპ.

მარამ მოსეს ასული, ანტონ ნიკოლოზის ძე, ლეკან ანტონის ძე ფურტელაძეები და ოდგ ეკოზგის ასული კოდეკეანა ავუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ გარდაცვალებულის პირველის ორის—რძლისა, მესამეს—მეუღლისა და მეოთხეს—დისა

ᲐᲜᲜᲐ ᲒᲘᲝᲠᲒᲘᲡ ᲐᲡᲣᲚᲘᲡ ᲤᲣᲠᲢᲔᲚᲐᲫᲘᲡ

წლის წირვა და პანაშვიდი იქნება კვირას, 7 დეკემბერს, ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში, დილის 10 საათზე. (2—1)

რონინაშვილისეული ფოტოგრაფია.

ამ წლის პირველ ღვინობისთვიდან „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების

ᲤᲝᲢᲝᲒᲠᲐᲤᲘᲐ

რონინაშვილისეული (ტრუნის მოედანი, ხარაზოვის სახლი,

ᲘᲯᲐᲠᲘᲗ ᲐᲕᲘᲦᲔ

და სრულიად ახლად მოვაწყე იარაღით და მომუშავე ხალხით.

ფოტოგრაფია შეასრულებს შემდეგს საქმეებს:

1) გადაიღებს ყოველ ზომის პორტრეტებს:

2) გადაიღებს ძველ თუ ახალ სურათებს;

3) ვინც ერთ დეკენზე არა ნაკლებ კაბინეტის სურათს შემოუკვეთს ჩემს ფოტოგრაფიას, **მეც ამაც სწორია, მიეცემა მუქთად** აგვრელად (ფერადებად) **სანუგეშოდ** დასტულად.

4) გარდა ამისა, ფოტოგრაფიას მრავლად აქვს გასაყიდად სურათები ძველის ნაშრომებისა, სნნაბეისა და საზოგადო მოღვაწეთა სურათები.

ყოველ შეკვეთილ საქმეს ფოტოგრაფია შეასრულებს თავის დროზე, კარგად და ზომიერ ფასად.

მოსწავლე ფოტოგრაფია გადაიღებს დაკლებულ ფასად.

პატივის ცემით მოიკრიბარდენ მოატვარი **ᲢᲐᲠᲡᲘᲡ ᲡᲐᲛᲜᲐᲡᲘ ᲛᲔ ᲛᲝᲛᲪᲚᲐᲛᲐ.**

„ᲪᲝᲓᲜᲐ“

ახლად დაარსებული ქართული წიგნის მაღაზია

ტფილისი, ქაშვეთის ქუჩა, ანდუკასაძის სახლი (ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ).

ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ

ᲫᲕᲚᲔᲠ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲬᲘᲗᲚᲘᲗ ᲓᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲔ-ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲓᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲜᲗᲚᲘᲗ ᲓᲐ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲐᲠᲘᲗ ᲡᲐᲛᲬᲘᲗᲚᲝ ᲓᲔᲞᲝᲨᲘ. ᲐᲠᲬᲣᲠᲔᲑᲣᲚ ᲛᲔᲠᲒᲕᲔᲚᲗᲐ ᲓᲐᲯᲠᲘᲗ ᲓᲐ ᲣᲤᲐᲡᲝᲓ ᲛᲘᲦᲔᲑᲐ ᲬᲘᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲙᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲤᲐᲡᲘᲗ.

ᲛᲡᲣᲜᲯᲕᲔᲚᲗ წიგნები ᲒᲘᲠᲩᲔᲑᲘᲗ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲐᲓ **ᲤᲐᲡᲘᲡ-ᲓᲐᲠᲔᲓᲔᲑᲘᲗ.**

დაუკოვნებლივ ვასრულებთ ყოველგვარ შეკვეთას, როგორც ქალაქის აგრეთვე პროვინციის მცხოვრებლებისას.

იქმნ მიღება ᲬᲘᲗᲚᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲤᲣᲠᲜᲘᲡ-ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲖᲔ.

ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲐ: Тифлисъ, Книжный магазинъ „ПОДНА“.

წიგნის მაღაზიის მეპატრონე და მმართველი სოსიკო მერკვილაძე.

წარმოდგენა № 28. ტელეფონი № 617

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ

შაბათს, 6 დეკემბერს 1903 წ.

ქართველ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ

წარმოდგენილი იქნება

3. ᲐᲚᲔᲥᲡᲘ.ᲛᲔᲡᲮᲘᲕᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲛᲝᲪᲜᲐᲕᲘ-ᲚᲔᲝᲜᲘᲗ

I

ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲙᲝᲠᲬᲘᲚᲘ

კომედია 3 მოქ. სუხოვო კობილინის თარგ. ა. გულაძისა.

II

ᲒᲜᲔᲚ ᲝᲗᲐᲮᲨᲘ

ვოდევ. 1 მოქ. გად. ჩიკოვანის მიერ.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ტასო ანაშიძე, დავითაშვილი, ელ ზ ერგეზიშვილისა, ნ. ჯავახიშვილი ბ-ნნი: ბაქრაძე, ბ. ᲒᲐᲓᲔᲒᲘᲜᲘᲫᲔ, ნ. ᲒᲐᲒᲠᲩᲘᲫᲔ, ს. ᲘᲝᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ი. ᲝᲒᲐᲜᲘᲫᲔ, ს. ᲛᲔᲚᲘᲥᲨᲕᲘᲚᲘ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

რეჟისორი **ᲐᲐᲫᲘ**

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ

ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲘᲐᲠᲔᲚᲐ

ანტრეპრენიზა მისის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.

ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘ, 5 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘᲡ 1903 წ.

წარმოდგენილი იქნება

I

ᲛᲐᲖᲔᲞᲐ

ოპერა 3 მოქ. მუზ. ჩაიკოვსკისა.

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: ფერტიგი, კარრი, ბ-ნნი დარსკი, სელიავინი, ილიუშენკო, ამირჯანი, გლადკოვი, გავრილოვი.

კეზელმეისტერი ბ-ნი ᲒᲣᲜᲐᲠᲐ

უფროსი რეჟისორი ბოგოლუბოვი.

ᲓᲐᲡᲬᲧᲘᲡᲘ ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲡ 8 ᲡᲐᲐᲗᲖᲔ.

ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘ, 12 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ, 1903 წ.

ქართულ დრამატიულ საზოგადოებას სასარგებლოდ

ანდ. ნ. ე. ქობულოშვილის სახლში, გრიბოედოვის ქუჩ. № 23 (არაკეულისეული).

გაიმართოს იქნება

ᲑᲐᲚᲘ (ᲨᲔᲔᲚᲚᲘᲡᲘ)

დასასრულისაა ამ საღამოს ინება და იკარგა ᲨᲣᲒᲐᲜᲘᲡᲮᲚᲔᲑᲣᲚᲔᲡᲗᲐ ᲥᲔᲜᲘᲡ თ. დ. ᲒᲠᲣᲖᲘᲜᲘᲡᲙᲘᲡᲗᲐ.

ᲑᲘᲚᲔᲗᲘᲡᲔᲑᲘ ᲘᲡᲘᲚᲔᲑᲘᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲗᲐᲨᲘ.

ᲐᲡᲚᲐᲚᲝᲕᲔᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ელისაბეთის ქუჩა, 38.

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 სათამდის და 11—2-დის, ხოლო საღამ. 5—7-დის კეკრა-უქმე დღეებში 9—2-დის და საღამ. 5—7-მდის. (ᲥᲚ.)

ᲔᲥᲘᲛᲘ

Ვ. Დ. ᲦᲐᲛᲒᲐᲨᲘᲫᲔ

ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს საღამოს 6—7 საათამდე.

ნიკოფოროზის ქუჩ., № 46.

ᲙᲔᲠᲫᲝ ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ

ᲔᲥᲘᲛᲘᲡ Ე. Ა. ᲒᲝᲓᲝᲔᲕᲐᲜᲝᲕᲘᲡᲘᲡᲐ

კუკია, ვლადიკავკაზეს ქუჩა, (Набережная) სახლი აბრამოვისა № 9 მიხეილის ქუჩიდან-ეკ № 34.

ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

ᲓᲘᲚᲘᲗ:

3. Ო. ᲔᲠᲔᲕᲜᲘᲐᲜᲘ. კბილის სნეულებანი 8 საათიდან 10 საათამდე.

Ლ. Ო. ᲙᲐᲛᲘᲜᲘ. საშარდ., ენერ. და სიფილ 10—11 ს.

6. Თ. ᲒᲣᲚᲘᲜᲘ—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულებიდან შეამოწმებილ. 9—10 ს.

0. 3. ᲝᲚᲝᲛᲘᲜᲘᲜᲘᲜᲘ—კბილებისა 10—11 საათ.

Ა. 3. ᲛᲐᲚᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ. შაკ. და შინაგ. 10—11 ს.

3. Დ. ᲦᲐᲛᲒᲐᲨᲘᲫᲔ. შინაგ და ბავშვ. ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 11—12 საათ.

Ლ. 3. ᲛᲝᲜᲘᲜᲘᲜ. ქალის., საშებ. და ბავშვ. (შემოწმება ძიძისა) ოთხშ., პარასკ. და კვირა 11—12 ს.

Დ. Ა. ᲒᲝᲓᲝᲔᲕᲐᲜᲝᲕᲘᲡᲘᲡ—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ექიმი ქალი **3. Ა. ᲝᲛᲚᲔᲚᲘᲐᲜᲘ**—ქალისა და საბებია 12—I ს. საშ. ხუთშ. შაბათ.

ᲒᲐ. 3. ᲡᲘᲚᲐᲒᲠᲝᲕᲘᲩᲘ—ფოსტკარის და ოტტოვედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით 1—2 საათ.

3. 3. ᲛᲐᲜᲔᲚᲘᲫᲔᲗᲘᲡ—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—კვირაობით 10—12 საათ.

ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲗᲘ:

Ა. 3. ᲛᲐᲚᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ. შინაგ. ბავშ. ყველის აცრა და მიკრო-ქემიური გამოკვლევანი 5—6 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გადაუთვლებულია ალი კრაოტით.

(Ქ.)

46—8 ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ № 274

პირველი კერძო სამკურნალო

ᲔᲥᲘᲛᲘᲡ ᲜᲐᲕᲐᲚᲐᲠᲓᲘᲐᲜᲘᲡᲐ

(კუკიაში, ვლადიკავკაზის ქუჩის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კერძოდებს გარდა.

ᲓᲘᲚᲐᲝᲑᲘᲗ:

3. Ა. ᲜᲐᲕᲐᲚᲐᲠᲓᲘᲐᲜᲘ. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდე ავადმყოფობანი.

Ძ. 3. ᲚᲘᲫᲝᲕᲐᲜᲘ. 9 საათიდან 10 საათამდე თვალისა. შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

3. 3. ᲐᲕᲔᲢᲘᲡᲘᲐᲜᲘ. 10—11 საათამდე—კანისა, ვენერიულ და ბირურგიულ ავადმყოფობისა.

0. ᲑᲐᲑᲐᲜᲐᲚᲘᲫᲔ. დ.ლის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

Ძ. 0. ᲒᲔᲓᲚᲘᲫᲔᲗᲘᲡ. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

3. Ა. ᲗᲐᲚᲮᲔᲚᲝᲕᲘᲩᲘ. 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვების ავადმყოფობისა—საშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲗᲘ:

6. 6. ᲠᲝᲚᲝᲒᲘᲜᲝᲕᲘᲩᲘ. 5—6 ს. ბირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია

3. Გ. ᲚᲔᲕᲘᲩᲘ. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **Ა. 0. ᲨᲐᲠᲐᲑᲘᲜᲘᲜᲐ.** 7—7 საათ. ქალისა და საბებია ავადმყოფობისა.

3. Ა. ᲗᲐᲚᲮᲔᲚᲝᲕᲘᲩᲘ. 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

3. Ა. ᲜᲐᲕᲐᲚᲐᲠᲓᲘᲐᲜᲘ. 8½—8 ს.

6. Თ. ᲐᲠᲨᲕᲘᲜᲘᲪᲐᲫᲔ. 11—1 ს. ᲥᲣᲪᲘᲗᲘᲡ სახლში და მსურველი მასსახლ., ᲐᲠᲣᲠᲘᲡ ყვავილის გამართავს სპეციმენ გიმნასტიკას ექიმის დანიშნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, დარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისთვისაც—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინის ნ ა ვ ა ხ ა რ დ ი ა ნ ი.

Первая частная лѣчебница д-ра *Назарьяна*. Тифлисъ противъ памятн. Воронцова.

(ᲥᲚ.)

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘ

ᲨᲐᲑᲐᲗᲘ. 6 დეკემბერს ქართულ თეატრში ვლდა. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით წარმოდგენი გაიმართება, წარმოადგენენ „კრენინსკის ქორწილი“ კომ. 3 მოქმედებად სუხოვო-კობილინისას და „ბნელ ოთახში“ ვოდ. 1 მოქ. გად. ჩიკოვანის მიერ. ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

ᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 13 დეკემბერს ᲒᲠᲩᲘᲜᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ დრამატიული დასი წარმოდგენას გაამართავს. წარმოდგენილ იქმნება „ᲒᲐᲪᲘᲠᲣᲗᲔᲚᲘ ᲘᲛᲔᲓᲘᲐᲜᲘ“ ნ. აზიანისა და ეოდეკეი „ᲡᲐᲣᲤᲔᲓᲣᲠᲝ ᲓᲔᲑᲘᲣᲢᲘ“, მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: ტ. ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲔ, Ე. ᲩᲘᲠᲙᲘᲤᲨᲕᲘᲚᲘ, ნ. ᲯᲐᲯᲐᲑᲘᲨᲕᲘᲚᲘ; ბ-ნნი: ᲕᲐᲡᲘ ᲐᲠᲐᲨᲘᲫᲔ, ს. ᲡᲐᲛᲝᲜᲘᲫᲔ, Ა. ᲝᲛᲔᲓᲝᲕᲘᲩᲘ და სხვანი.

12 დეკემბერს ქართულ დრამატიულ საზოგადოების სასარგებლოდ ᲒᲜ. ᲒᲠᲣᲖᲘᲜᲘᲡᲘᲡ გამგეობით გაიმართება ᲛᲔᲣᲠᲚᲘᲡ.

ᲒᲣᲨᲘᲜᲬᲘᲜ, 3 დეკემბერს, კრება ᲰᲥᲜᲔᲓᲐ ქართულ დრამატიულს საზოგადოებას. კრებას უნდა აერჩია გამგეობის ახალნი წევრნი, რადგან ძველმა გამგეობამ უარი განაცხადა თავის თანამდებობაზე. ასეთი განცხადება გამგეობისა გამოწვეული იქმნნა გამგეობასა და ვლ. ალექსი-მესხიშვილის შორის უთანხმობების გამო, რასაც მოჰყვა შედეგად ვლ. მესხიშვილის გამორიცხვა დრამატიულ დასიდან. ᲒᲣᲨᲘᲜᲬᲘᲜ კრებამ დიდის კამათისა და დავიდარაბის შემდეგ ვლ. მესხიშვილი და თეატრის გამგეობა შეარიგა. ვლადგ. მესხიშვილი ამას შემდეგ ისევ დასში იქმნება. თეატრის გამგეობაც ისევ ძველი დარჩება. კრებამ კენჭის ყრით გადასწყვიტა ამ დღეს შემდეგი საკითხი: საზოგადო კრება სრულ ნდობას უცხადებს თეატრის გამგეობას. 30 კაცი ნდობას უცხადებდა, ორი არა.

კავკასიის სამხედრო-ტორო სამკურნალო საზოგადოებამ ნება მიიღო სახალხო კითხვათა კომისიისაგან და სიფხიზლის საზოგადოების კომიტეტისაგან გამართოს ხოლმე სახალხო აუდიტორიაში სახალხო ლექციები ჰიგიენის შესახებ. ამ დღეებში სამკურნალო საზოგადოების წევრთა კრებამ მოისმინა ამის შესახებ გამგეობის მოხსენება და დაადგინა, დაავალოს გამგეობას გამოითხოვოს მთავრობისაგან ნებართვა, რომ სამკურნალო საზოგადოებას აღნიშნულ ადგილში ლექციების გამართვა შეეძლოს ხოლმე.

ამიერ კავკასიის რკინის გზა ჰგზავნის თავის წარმომადგენელს პეტერბურგში რკინის გზის იურისკონსულტთა კრებაზე დასასწრებლად.

ქალაქის გამგეობას აზრად აქვს, მადათოვის კუნძულის გაკრდილი მტკვრის მარჯვენა ტატი მიწით ამოავსოს და ზედ ბაღი გააშენოს. ქალაქის გამგეობამ ინჟენერ კოგნოვიცკის მიანდო, გამოიახგარიში რა დაჯდება ამ განზრახვის შესრულებაო. კოგნოვიცკიმ ქალაქის გამგეობას წარუდგინა ხარჯთაღრიცხვა. მისის გამოანგარიშებით, მტკვრის ტატის ამოსავსებად 150,000 მანეთი არის საჭირო. ინჟენერი ურჩევს ქალაქის გამგეობას სახლების შენების დროს მოთხრილი მიწა აქ დაყრეინეთო.

დღეს, 5 დეკემბერს, კრება ექმნება ტფილისის ქალაქის საბჭოს კომისიას, რომელმაც უნდა განიხილოს ხმოსან ქანნოვისაგან ამას წინად შეტანილი წინადადება. ხმ. ქანნოვი ურჩევს, ტფილისში შეიქმნებელ მცხოვრებთათვის სამშობიარო სახლი დაეაარსოთო.

ოდესის უნივერსიტეტში წელს 116 ქართველი სტუდენტი ყოფილა.

ტფილისის ქალაქის გამგეობამ დაადგინა, გავიდოდოთ საბჭოს კანცელარიის მოხელეთა შტატი ორის გადამწერითამ. აზრად აქვთ, თვითოეულს გადამწერს თვეში 30 მანეთი მისცენ ჯამაგირად.

კავკასიის იურიდიულ საზოგადოებას სულ 45 წევრი ᲰᲧᲝᲚᲘᲐ. საზოგადოებამ 29 ნოემბრის კრებაზედ დაადგინა, 100 მანეთი გადასცეს საზოგადოების სამკითხველოსათვის წიგნების შესაძენად.

ტფილისის ქალაქის თვით-მმართველობამ ამას წინად დაადგინა, სახელმწიფო სასწავლებელში დიპარსებინა ინსპექტორის თანამდებობა, რომელსაც წელიწადში 1200 მანეთი ᲯᲐᲯᲐᲠᲘᲜᲐ უნდა ᲰᲥᲜᲝᲓᲐ. ამის შესახებ თვით-მმართველობამ შეადგინა ᲐᲘᲠᲩᲘᲠᲐ მთავრობასთან. ს

▓▓ დღეს, 5 დეკემბერს, ბაქოში დაიწყება ბაქოს ნავთის მწარმოებელთა კრება. ადმინისტრაციის მხრით წარმომადგენლად ამ კრებაზედ დაესწრება მთავარმართებლის მოხელე დ. ვ. პორგენპოლი.

▓▓ ქალაქის გამგეობას აზრად აქვს გადასახადი დააწესოს ტფილისის მცხოვრებლებზე. ეს თანხა უნდა მიეცეს იმათ, რომელთა საქონელიც უვარგისი გამოდგება და ქალაქის გამგეობა მისის ხორცის გაყიდვის ნებას არ მისცემს. შინაგან საქმეთა სამინისტრომ ნება დართო ქალაქის გამგეობას ასეთის გადასახადის დაწესებისა.

▓▓ აზრად აქვთ, წინადადება მისცენ ბაქოსი, ტფილისისა და ბათუმის თვით მმართველობებს, რომ მათ თავიანთი წარმომადგენელნი გაჰგზავნონ სან-ლუის მსოფლიო გამოფენაზედ. წარმომადგენლებმა უნდა გაიცნონ, როგორ არის შეერთებულ შტატებში დაყენებული წყლის გაყვანისა, ქუჩების მოკირწყვლისა, განათებისა და სხვ. საქმე.

▓▓ ჩვენ გვატყობინებენ, სიღნაღისა და თელავის მაზრაში დიდძალი ღვინო მოვიდაო. ბევრი სირაჯები მივიდნენ და ღვინო თითქმის მუქთად მიაქვთო.

▓▓ დღეს დანიშნულია კრება იმ კომისიისა, რომელმაც წყალს ბაჟი უნდა დაადოს. ზოგიერთ დაწესებულებას კომისიამ წყალი ფას დაკლებით უნდა დაუთმოს.

▓▓ ამ ჟამად ტფილისის ქალაქის გამგეობაში დიდძალი თხოვნები არის შეტანილი სხვადასხვა დაწესებულებათაგან. ისინი სთხოვენ, წყალი უფასოდ დაგვითმეთო. ყოველ წელს ქალაქი უფასოდ აძლევს სხვა-დასხვა დაწესებულებას 6152 მანეთის წყალს.

▓▓ საგუბერნიო მმართველობას საალმშენებლო განყოფილებამ სთხოვა ტფილისის გუბერნატორს, სასწრაფოდ დაახუროს ელექტრონის სადგური, რომელიც მოწყობილია აკოპჯანოვის მაღაზიაში, მადათოვის კუნძულზედ, რადგან ეს სადგური ძალიან ცუდათ არის მოწყობილიო.

▓▓ საუკეთესო ხელოვნებათა წამქეზებელ საზოგადოებას ქალაქის გამგეობამ მისცა 300 მანეთი. ეს ფული უნდა მოხმარდეს სამხატვრო სკოლას.

▓▓ ქალაქის საბჭოს სასწავლებელთა კომისიამ აირჩია საგანგებო კომისია და მიანდო ფასის შეტყობა ავლაბრის ადგილებისა. კომისიას აზრადა აქვს საკუთარ სკოლის ასაგებად ავლაბარში ადგილი იყიდოს.

▓▓ ტფილისის ქალაქის გამგეობამ „იასლის" საზოგადოებას 300 მანეთით შემწეობა აღმოუჩინა.

სვანეთისა და სოხუმის ეპარქიის შეერთებისა გამო.

წერილი ზემო-სვანეთიდგან.

როგორც გადმოგვცემს «ცნობ. ფურც.» მე-2323 ნომერი, ბათუმის გაზეთს გაუგია —სვანეთი სოხუმის ეპარქიას უნდა შეუერთონო. ამ ამბავმა, სწორე მოგახსენოთ, თავზარი დაგვცა, მაგრამ ამავე დროს შეუძლებელადაც გვეჩვენა ასეთი მითქმა-მოთქმა, რადგან სვანეთსა და სოხუმს შუა ორი ეპარქია სძევს. ან რა დასაჯერებელია, ერთი მუჭა სვანეთი მახლობელს ეპარქიებს მოსწყვიტონ და შორეულს (სოხუმის) ეპარქიას მიაკრან. ეს იმის მსგავსი იქნება და ემგვანებინება კიდეც, რომ ლეჩხუმი იმერეთის განაშორონ და ტფილისს შეუერთონ. როგორც მოგეხსენებათ, სვანეთი ლეჩხუმის მაზრისაა, საერთო სასამართლო ლეჩხუმსა და ქუთაისს იყოს და სასულიერო—სოხუმსა და ბათუმში, ეს შეუძლებელია ისედაც აწეწილ-დაწეწილისა და ღარიბ-ღატაკ სვანეთისათვის. რომელი გაუბედურებული მღვდელი იკისრებს ამ შემთხვევაში სვანეთში სამსახურს: 60 და 70 ვერსის მაგიერ უნდა გაიაროს 250—200 ვერსი. თუ სამეგრელოზე წავიდა, ოთხი დღე ქვეითად უნდა იაროს, ეგრედ წოდებულ, დეხვირზე, შემდეგ უნდა გაიაროს სამეგრელო, გადაიხადოს სამურზაყანო და ბოლოს კიდევ ორის დღის შემდეგ მიაღწევს სოხუმს. ბევრად უმჯობესია, მგზავრი სვანეთიდგან ქუთაისს ჩავიდეს და აქედგან რკინის გზით და ზღვით ჩავიდეს სოხუმს.

მაშასადამე, არც ადგილობრივის მცხოვრებთა სარგებლობა და არც სიმართლე არ მოითხოვს, რომ საწყალი სვანები მეზობელ იმერეთს მოჰგლიჯონ, თავზე გადაახტუნონ და სოხუმში ამოაყოფინონ თავი?!.. არა და არა, ეგ დაუჯერებელი ამბავია! ეს და მრავალი ამისთანა მოგონილი ამბავი იმ «ვესტნიკ»-ების დადადია, რომელთაც არა ერთხელ გამოუდაშქრნიათ უკუღმართის აზრით ჩვენის ქვეყნის დასაწყრიღმანებად. სრული იმედი გვაქვს, სათანადო მთავრობა არ მიაქცევს ყურადღებას მაცდურსა და მავნე «ელემენტების» დადადს.

ლევან დადეშქელიანი.

დიდი ნაკლი ჩვენის სამრევლო სკოლებისა.

რუსეთსა და ჩვენში რიცხვი სამრევლო სკოლებისა დიდია და დღითი-დღე უფრო მატულობს. აზრი და დანიშნულება ასეთის სკოლებისა ცხადია ყველასათვის. ორთავე სქესის მოსწავლე ბავშვებმა ხსენებულ სკოლებში უნდა შეითვისონ უმთავრესად სარწმუნოებრივი და ზნეობრივი ცოდნა და შეიძლონ ქება, დიდება და ვედრება ქვეყნის დამბადებელისა, რადგანაც ასეთი მოქმედება მორწმუნე ადამიანისა, ეკკლესიის სწავლით, არის აუცილებელი საშუალება სულის ცხოვნებისათვის შემდეგ სიკვდილისა.

ხსენებულის უუსაჭიროესის აზრის შეთვისება სკოლებში და შემდეგ სკოლების ცხოვრებაში შესაძლებელია უმთავრესად საუკეთესო სახელმძღვანელო საღმრთო სჯულის წიგნებითა და ლოცვნებითა. საღმრთო სჯულის წიგნები, რუსულით თარგმნილნი, ცოტაოდენი კიდევ მოიპოვება ქართულ ენაზედ, ლოცვნები კი სრულიად არა. ამ წიგნებში რიგზედ არის აღბეჭდილი ყოველ დღიური უსაჭიროესი ლოცვები, ასე რომ ყველა წიგნის მცოდნე ადამიანს შეუძლიან სარგებლობა, თუ კი ხელთ ექმნება.

რუსეთის ერსა და რუსთა მოსწავლე ბავშვებს ასეთი სახელმძღვანელო წიგნები მრავლადა აქვთ, ლოცვნები ხომ მომეტებულიც. უწმიდესი სინოდი სკოლებში სახმარებელ სახელმძღვანელო საღმრთო სჯულის წიგნებთან ერთად მრავლად ჰბეჭდავს იაფ-ფასიან ლოცვნებსაც სამრევლო და სამინისტრო სკოლებში სახმარებლად და ხალხში გასავრცელებლად. ხშირად მუქთადაც დაურიგებიათ ასეთი წიგნები მოსწავლე ბავშვთათვის სკოლებში და სახლებში სახმარებლად. გარდა უწმიდესის სინოდისა, კიევისა, პოჩაევისა, ტროიცკო-სერგიევის ლავრებსა და კიდევ სხვა მონასტრებს, განსაკუთრებით-კი ხსენებულ ლავრებს, უფლება აქვთ მინიჭებული ჰბეჭდონ ეკკლესიებში სახმარებელი წიგნებთან ერთად იაფ ფასიანი ლოცვნები სკოლებში და სახლებში სახმარებლად. ლოცვნებსა ჰბეჭდავენ როგორც სლავიანურს ენაზედ, ისე რუსულზედაც.

აი, ეს არის მიზეზი, რომ წერა-კითხვის მცოდნე რუსის ოჯახში უეჭველად მოიპოვება ლოცვანი, ან რუსულად და ან სლავიანურად აღბეჭდილი. ეს არის მიზეზი, რომ რუსის ბავშვი სკოლის კედლების გარედაც არ ივიწყებს სკოლაში საღმრთო-სჯულის მასწავლებლის ხელმძღვანელობით შეთვისებულ ლოცვებს. ეს არის მიზეზი, რომ რუსმა, რომელსაც იქმნება სკოლის კარები არც კი დაუნახავს, მაგრამ შეუსწავლია მშობლიური წერა-კითხვა რაიმე საშუალებით, იცის ყოველ დღიურათ უუსაჭიროესი ლოცვები. ერთის სიტყვით, ძნელად რომ წერა-კითხვის მცოდნე რუსმა არ იცოდეს ლოცვები იაფ-ფასიან და მუქთ ლოცვების საშუალებით.

ჩვენში, ქართველებში? აბა სინთლით ვეძიოთ ქართველთა ოჯახებში, ანუ საქართველოში არსებულ სამრევლო და სამინისტრო სკოლებში სახმარებელი მხედრულისა, თუ ხუცურის ასოებით აღბეჭდილი ლოცვნები, თუ სადმე ვპოვოთ?! ამ გვარ ლოცვანებს ვერსად ვერ ვპოვებთ, თუმცა-კი დიდი ხანია აუცილებელი საჭიროებაა ჩვენის ოჯახებისათვის და ჩვენში არსებულ სკოლებისათვის; უფრო-კი მხედრულის ასოებით აღბეჭდილი ლოცვნებია საჭირო რადგანაც ასეთი წიგნები ყველა ქართულ წერა-კითხვის მცოდნესათვის ხელ-მისაწვდომი იქნება. ამ გვარ ლოცვნების უქონლობა გვაფიქრებინებს, რომ ჩვენში, ქართველთა ოჯახებში და ქართველთა შორის არსებულ სკოლებში, შინაური ღვთისმსახურება არ სრულდება ეკკლესიის მიერ ლოცვნებში აღნიშნულ რიგზედა და წესზედ.

იკითხავთ: მაშ მოსწავლე პაწია ქართველები რითი და რაგვარად ითვისებენ ყოველ დღიურ უსაჭიროეს ლოცვებსაო? რითი და ი. გოგებაშვილის «დედა-ენითა» და გ. იოსელიანის ლოცვანითა, თუმცა კი სამწუხაროდ ამ უკანასკნელის მიერ შედგენილი სახელმძღვანელო ლოცვანი ყველა სკოლებში არ არის მიღებული სახმარებლადა. ამ მხრივ აი ამ ორთ უნდა სულითა და გულით ვუმადლოდეთ, უფრო-კი ი. გოგებაშვილსა; მისს „დედა-ენას" რომ ბოლოში არა ჰქონდეს ჩართული რამდენიმე უუსაჭიროესი ლოცვები, მოსწავლე პაწია ქართველები სრულიად მოკლებულნი იქმნებოდნენ საჭირო ლოცვების ცოდნასა. სხვა ფრივ კიდევ პაწია ქართველები ითვისებენ ლოცვებსა საღმრთო სჯულის მასწავლებელ მღვდლების უსასყიდლო შრომითა, ჯაფითა და მოთმინებითა. სწორედ იობისებრ იტანჯებიან ხსენებული მასწავლებლები, სახელმძღვანელო ლოცვნების უქონრობისა გამო. ეს ტანჯულნი იძულებულნი არიან ხმით შეასწავლონ მოსწავლე ბავშვებს საჭირო ლოცვები.

ზემორე აღნიშნული ნაკლი სრულიად საქართველოს სულიერ ცხოვრების უაღრესი ნაკლულოვანება არის; ამისათვის ვიმედოვნებთ, რომ ქართლ-კახეთ-იმერეთის სინოდალური კანტორა და საქართველოს ეპარქიალური სამოსწავლო საბჭო საქართველოს ძეთა ამ გვარ სულიერ ყოფა-ცხოვრებას უახლოეს დროში ჯეროვან და ფიცხელ ყურადღებას მიაქცევენ და მისთვის ჭეშმარიტის ზრუნვით იზრუნებენ.

დ. ლაშვარიჯვრელი.

ჩვენებური ამბები

წერილი ზემო-იმერეთიდგან.

კაცხის საზოგადოება (ზემო-იმერეთი). ადგილის სივიწროვე. —მიწავალი და ცხოვრების სახსარი გლეხთათვის. —ხალხის ეონებრივი მდგომარეობა. —აქაური სკოლები. —არჩევა სოფლის მოხელეთა. —საგლეხო სასამართლო.

ადგილის სივიწროვე, ეს ჩვეულებრივი სენი გლეხებისა, კაცხის საზოგადოებასაც აწუხებს. ხშირად გაიგონებთ, რომ ერთის ქცევის ოდენა 500—600 მან. გაიყიდაო. ადგილის სივიწროვეს ვინ იტყვის, რაც არის, ის რომ მოსავალს იძლეოდეს რიგიანად. აქ ერთი მესამედი მცხოვრებლებისა, თუ მოსავლიდგან მოსავლამდე გაიტანს თავს, სამაგიეროდ ორი წილი ნაშობევიდგან ღვთის ანაბარადა მიტოვებული. რა ეშველებოდათ ამ საწყლებს, რომ ჭიათურაში ისე ახლო (სულ სამ ვერსის სიშორეზეა) მადანი არ გამოჩენილიყო. ეს ის ჭიათურაა, რომელიც მუშებს მკალსა და ტყავს ატოვებინებს შრომას კი ვერ აჯილდოვებს. მაგრამ რა გაეწყობა! სანამდისინ ცოცხალია კაცი, პურს მაინც შოულობს.

გაღატაკებული აქაური საზოგადოება, გონებრივათაც დაქვეითებულია. წიგნთსაცავ-სამკითხველო, ჟურნალ-გაზეთობა, აქაურებისათვის გაუგონელი ხილია. ბანკის დაარსებას ხომ აქაურებს ვერ აფიქრებინებ: „ახლა მაგაში უნდათ ჩავიტყუონო, გაიგონებ აქაურებისაგან.

ამ ჩვენ ბედკრულ საზოგადოებაში ოთხი სამრევლო სკოლაა და ერთიც ერთ-კლასიანი სამინისტრო. სამრევლო სკოლებს ხალხი როგორღაც ვერ ეწყობა. არც მოსწავლეთა რიცხვია ამ სკოლებში და არც სხვა რამ სანუგეშო: სოფ. ვაჭევში წელს ერთი სკოლა დაკეტეს, რადგან ექვს მოწაფის მეტი არა ჰყავდა. ხალხი ბევრ სარგებლობას ვერას ჰპოვებს ამ სკოლებში და ამჯობინებს ბავშვები ოჯახში გამოიყენოს თორმეტ წლამდე და მერმე ჭიათურისკენ უკრას თავი. თუ სამრევლო სკოლების მდგომარეობა უნუგეშოა, სამაგიეროდ სამინისტრო სკოლაში საქმე შედარებით უკეთ მიდის. ეს სამინისტრო სკოლა მთელ საზოგადოების კუთვნილებას შეადგენს. თითო კომლი იხდის 50 შაურს. ამ მოკლე ხანში ლაპარაკი იყო და მთავრობამაც ნება დართო, კიდევ დაეარსებიათ მეორე სამინისტრო სკოლა, მაგრამ ეს მითქმა-მოთქმა უმნიშვნელოდ დარჩა და ისევ ერთი სამინისტრო სკოლა დარჩა, რისათვისაც შენობის კეთებას კიდევაც შეუდგნენ, იჯარით გასცეს.

ამ თვის პირველ რიცხვებში საზოგადოებამ პოლიციელის თანდასწრებით, აირჩია სოფლის მოხელეები. არჩევნების წინად გლეხებს გამოუცხადეს: წინანდელი მამასახლისი კარგი კაცია, ტყუილად ახლის არჩევაზე დროს ნუ დავკარგავთ, ან ვინ იცის, ახალი როგორი გამოგვადგებათ. ისევ ეგ აირჩიეთო. გლეხებს ეს არ იამათ, მაგრამ ისევ ძველი მამასახლისი გამოაცხადეს არჩეულად.

მამასახლისი თუ ძველი აირჩიეს, სამაგიეროდ მსაჯულები ახლებია. ამ თანამდებობაში ძველს და ახალს მნიშვნელობა აღარა აქვს, რადგან ერთი არა მკითხე ვექილი ზედამხედველობს და მუდამ აქ ტრიალებს. საქმე ფულისაკენ ტრიალებს, მაგრამ აქ უფრო პატივცემა ხურჯინებსა აქვთ. ერთი ხურჯინი პური და ხორცი თუ თხოვნაც არ დასძინე, სამართალს ვერ ეღირსები, თუმცა მთავრობამ გამოაცხადა ესეები არ იყოსო, მაგრამ ხურჯინები ხომ ქაამი არ არის და რათ უნდა მოისპოს!

ნიკოკია.

ს. ბრეთი. ამ უკანასკნელმა ორმა წელიწადმა ისე გაიარა, რომ შესამჩნევი პორტეტა, ავკაცობა ჩვენს კუთხეზე თითქმის აღარა მომხდარა-რა, —გარდა ორიოდე ხელბრუდობისა გვეგონა ჩვენში ისეთი დრო დადგა, რომ შეიძლება მგელმა და თხამ ერთად იწყონ ძოვაო, მაგრამ მოვსტყუვდით: ამ შემოდგომაზე ისევ იჩინა თავი ადამიანის ბოროტებამ, ქურდობამ, ძმამ ძმის და მეზობლისაგან მეზობლის მტრობამ, შურის ძიებამ. გაექურდნენ ვაჟფლან ავალიშვილი და ვასილ კალატოზიშვილი. ენკენისთვეში პირველს მოჰპარეს ჯერ ორი ცხვარი და შემდეგ რამდენიმე ხნის უკან დაჰპარეს ძროხები, მაგრამ ფხიზელმა პატრონმა მალე გაუგო და დააბრუნა საქონელი ავაზაკებს, იქმნება ეს ქურდობა მოჰხდა გარედგან მოსულ ქურდისაგან; იმ დროს მრავალი მგზავრი თსი გამოუვლელია ხოლმე.

აქ რაც შეეხება ვასილ კალატოზიშვილის გაქურდვას, რომელიც მოჰხდა გიორგობისთვის 18, ამ ავაზაკობაში უნდა მონაწილეობა მიეღოს შინაურს, მეზობელს. ეს გარემოება მით უფრო სამწუხაროა, რომ ვასილი და მისი შვილი კოსტანტინე ითვლებიან ჩვენში კეთილ, მშვიდობიან და ფრიად სასარგებლო და სამაგალითო მეზობლებათ, რომელნიც რაციონალურ მეურნეობას მისდევენ. მათ მოჰპარეს თავლით სავსე 12 დადგნის სკა, რომლებიც იქავე ფრონზე დაენელებინათ; დამტვრეული და თორმეტივე ძირის გამოფიტულის ფუტკარიც იქავე ეყარა. მოჰპარეს აგრეთვე 10 საფნიანი ჯაჭვი, ღვედის მაგიერად სახმარებელი, თავისის ასაკრავებით ნარელი ოსი თავლის მოსაპარავად არ წამოვიდოდა, გერც ჯაჭვს წაათრევდა შორს; და თუ ამ სიშორეზე საქურდლად წამოვიდოდა, სხვა ხომ უფრო ხელ საყრელისათვის. რომ

ფელეტონი

უცნაური პუბლიცისტები.

„კვალის" უკანასკნელ ნომრებში სანიფესტური ეფისტოლე გამოვიდა. სახელდობრ „ჩვენებური უკუღმართობა". ავტორს, თუმცა ნაცარაშვილობის მეტი არა ეტყობა-რა, მაგრამ მაინც „მარილაძეობით" მოაქვს თავი და მეტადაც ამლაშებს სიტყვა-პასუხს. ეტყობა რომ კარგად შეუსწავლია „რუს-მაწანწალების" (ბოსიაკების) ლექსიკონი!.. „გადაკრულში" დამდგარა სარკის წინ, თავისი საკუთარი ლანდი ჩვენ სახედ მიუღია და ილანძღება: „მიმპარავო ძაღლოო", „ფარისევლოო", „გამოჩურჩუტებულოო", „უაზროო", „გამოფშუტებულოო", „უზნეუროო" და სხვანი.

ნეტავ რას ჩაუგდია საბრალო ამ სასაცილო ყოფაში?—თურმე ნუ ბრძანებთ, ჩვენს სტატიას „საანბანო ჭეშმარიტებას", რომელიც „ივერიის" № 184 ში დაიბეჭდა, ზოგიერთების თავგასულობის საპასუხოდ. ზოგიერთ მიყრუებულ მთიულ სოფელში დღესაც კიდევ შეხვდება კაცი მისთანა სოფლელს, თუმცა-კი ძვირად, რომელსაც სოფლის დასაბამი იმ დღიდან სწამს მხოლოდ, როცა თვითონ გამოუჭყეტია თვალები და თუ მანამდინაც, ყო-

რეღ ასე ემართებათ „კვალელებსაც".— საქართველო და ქართველობა მათიდან იწყება, ჰგონიათ!.. წინანდელ ყოლიფერი ტყუილიაო და მიტომაც იმათ ჩვენი წარსული „გველივით ეზიზღებათ" და აწმყო „ქირივით ეჯავრებათ" და მხოლოდ მომავალზე ჰფიქრობენ, სადაც ისინი წარსულსა და აწმყოზე ფერ-დაუკარებლად ელექტრონივით, თურმე, გადასკუპდებიან.

კარგი ოცნებაა!.. და რომ განხორციელდეს ეს ოცნება, იერიში მიაქვთ წარსულ აწმყოზე, სცდილობენ მრავალ-საუკუნეთა ისტორიის სახსენებელიც კი აღგაონ პირისაგან ქვეყნისა. მაგრამ რადგანაც მათი ჯილა-შვილდი შორს ვერ უწევს, ისარს ახლო-მახლოს სტყორცნიან.

ამას წინედ „კვალმა", სიტყვას რომ აღარ დასჯერდა, კალმით შეუტია მესამოცე წლების მოღვაწეებს და, არა თუ გააცამტვერა მათი ღვაწლი თავის გუნებაში, მათი პირადობაც კი ვერ მოიხსენა კეთილად. —სხვების სახელის ხსენებაც არ იკადრა და მე კი პატივი მცა და სახელითა და გვარით მომიხსენია: „აკაკი წერეთელიო". „ბატონის წყალობა ტალახიანი ჯოხიც კარგიაო", ნათქვამია, მე მხოლოდ მადლობის გადახდა მმართებდა ამ გვარ მოწყალებისათვის, მაგრამ მაშინდელ ჩემ თანამოაზრეებსა და ამხანაგებს, რომელნიც

თლებაც აღარ შეუძლიათ, გამოვესარჩლე ჩ გამოვესარჩლე, დიახ, ათვაზიანათაც რომ ახალ მოდის ფეოდალ-ბატონები, «კვალელები» არ გამერისხებინა... რომ მესამოცე წლების ახალ-თაობამ, ცხოვრებაში საპირადო ჭკუა ვერ გამოიჩინა, ეს ცხადია. ისინი უსასყიდლოდ შრომობდნენ და თითქმის მშიერებიც დაიხოცნენ, მაშინ როდესაც დღევანდელებს ამ უჭკუობას ვერავინ შესწამებს, რადგანაც თავიც არ აეიწყდებათ! —აბა, თუ ერთი კალამი მოუსვამთ უსასყიდლოდ? აბა, თუ ერთი გაკვეთილი სადმე მიუციათ მუქთად? აბა, თუ ბიჯი გადაუდგამთ უანგარიშოდ ჩ ამ გვარადვე... ეს, რასაკვირველია, მედავთრე სოვდაგრებისა და მათ მიმდევარ უმეტესობის შეხედულობით, ჭკუაა და ჩვენც, როცა ამ გვარ რამეებში ამტყუნებენ მესამოცე წლების ახალგაზდებს, ხმას არ ვიღებთ... არავის ვეკამათებით. მაგრამ როცა მათ გულ-წრფელობას უკიჟინებენ, მაშინ-კი ნება არა გვაქვს გავჩუმდეთ და მეც სწორედ ამ მხრივ მოვახსენე პასუხი „კვალელების" ერთ მეთაურთაგანს. ის პასუხი „ივერიის" № 184 მკითხველს შეუძლია წაიკითხოს და დარწმუნდეს, რომ აქ ჩვენ პირადად არავის შევხებივართ და საზოგადოთაც უზრდელობა არა ჩაგვიდენია-რა... მხოლოდ

ლელებისაგან" უსამართლოდ ათვალწუნებულებზე. ჩვენ არც „კვალელების", გულწრფელობაზე გვქონია ეჭვი აღებული და მათგან უდიერად სხვების მოხსენებას მხოლოდ შეცდომას ვაწერდით და იმიტომაც ვურჩიეთ, რომ, თუ სამართლიანი მსჯავრი უნდათ დასდვან წინათობას, გამოიკვლიონ მათი მოქმედება, გაითვალისწინონ მათი დრო და მხოლოდ მაშინ აუგონ წესი-თქო.

და აი თურმე რას გაურისხებია ეს ვაჟბატონები?!. რაღაი-კი ჩვენ მოვისურვეთ და ვბრძანეთ მათი ანათემა, თქვენ როგორღა გაბედეთ სიტყვის შემობრუნებაო?!. ღმერთმა შეარცხვინოს ამაზე უფრო დიდი „ბატონ-კაცობა"!.. მერე ვისგან? იმ ჯგუფისაგან, რომელსაც ყოველი წარსული „გველივით ეზიზღება" და „აწმყო ქირივით ეჯავრება"; მამა პაპის საფლავსაც კი ნაგავსა და მტვერს აყრის, მხოლოდ მიტომ რომ მაშინ, მათ დროში, ბატონ-ყმობა იყო და, თუმცა ის ბატონ-ყმობის ანდერძი დიდი ხანია ისტორიას ჩაბარდა, დღეს სრულიად უმნიშვნელოა, მაგრამ მთლად კიდევ გული ვერ მოუბრუნებიათ და თვითონ კი, როცა დასჭირდებათ, იმავე როლს თამაშობენ და ვინც მათი სურვილის და აზრის ყურ-მოჭრილი მონა არ არის, „კეტი თავშიო და შეურაცყოფაო" გაიძახიან. —ბატონი მარილაძე მათი ტიპიური წარმომადგენელია: მიწყრება, მლანძღავს და თვითონაც არ იცის კი თუ რათა? საბუთი რომ ვერა დაუჭერია რა ხელში, ცარიელი ობროლობით შეიარაღებულა. ვნახოთ მაინც რას გვეკიჟინებს?! „მწირიო—ბრძანებს ბატონ-კაცი მარილაძე—თავის თავზე ლაპარაკობს და თავს იქებსო. და ეს ხომ ყველა უგუნურ-თავმომწონეობისა და გადიდების ნიშნებიაო?" ეტყობა, რომ ხალხური ანდაზები კარგად სცოდნია და უფრო საჭირო ანდაზა დავიწყებია, რომ „თავის ქება კიტრადა ღირსო". აქ რაღა გვეთქმის ამის მეტი რომ არა თუ ეს ანდაზა არ დავვიწყებია, კიდევ სხვაც ვიცით ამ გვარივე, ხოლო უფრო მკვახე: «თავის ქებაო—თავის გდებაო», ამბობს ხალხი ტრაბახა კაცზე. და მე თუ არ გავახსენე, მხოლოდ ზრდილობით, რომ მაგრად არ მოხვედროდა იმას, ვისაც მართლა დიდად მოაქვს თავი. და თუ ვის მოაქვს თავი: ჩვენ თუ სხვას, ვნახავთ.

შევიდეთ სასამართლოში. აქ ერთს ვიღაც ცილის-მწამებელს დაუსვამს დამნაშავეთა სკამზე ერთი ვინმე და უმტკიცებს: აი შენ ასეთო და ისეთოო!.. ცუდი კაცი ხარ და აი რა და რა დანაშაულობა ჩაგიდენიაო! სთხოვს მსაჯულებს გაასამართლეთო. ის, ვისაც ამტყუნებენ,

დაუფარქრდეთ, თითქო გვშურს ერთმანეთის წარმატება, საკუთე, რიგიანი ცხოვრება. ამას წინადაც ამავე გადატრიზიშვილებს 160 სამ-ეენი ვაშლი მოუჭრეს.

უარესი ბოროტება მოჰხდა თვით ბრეთში გიორგობისთვის დამდეგს: დამის 11 საათზე ვიდაცა არა გაცმა ცეცხლი წაუკიდა გლეხ-გაცის საბძელს; საბძელშივე ბზეში გოდრებით გლეხ-კაცებს ჰქონდათ შენახული 120 ფ. განთქმული თავი ბური ბრეთისა, 150 ფუთი ქერი, და 100 ფუთამდე შვრია. ზარის რეკვაზე ძილის პირს მიცემული ხალხი სწრაფად მოკრთვდა გადაგვარებულ საბძელთან, მაგრამ შველა უოვლად შეუძლებელი იყო: შეუბრალებელი სტიქიონი საბძელს კვე მთლად გარშემო მოხდებოდა და ჩვენ თვალწინ დაიწვა საწყალის გლეხის სარჩოსაბადებელი. ასე დარჩნენ შარა გზაზე სხვის მახვეწრად ძმანი ზექალაშვილნი, რომელნიც ერთი საათის წინ შეძლებულებათ ითვლებოდნენ. საბძელი სრულებით განცადგევებით იდგა და არამც თუ ნაპერწკალი, ბოლის სუნიც ეერსაიდან მისწვდებოდა. აშკარაა, ბოროტმა ხელმა მოიქმედა ეს საშინელი საზიზღრობა შურით და მტრობით, რომ დაემხობ ძირს დოვლათით სავსე ოჯახი.

ერთი ნიმუში კიდევ ჩვენის ცხოვრების უწესოებისა უსამართლობისა, რომელიც მრავლის უმრავლესია სოფლად და უურადღება-კი, გულშემატკივრობა არსაიდგან სჩანს აგერ. სოფლის სამმართველოში მამასახლისის წინ დაკონკებულ შავებში გამოხვეული ქვრივი მარიამ მღუდარებას აძნევს, ხელში ორი ქაღალდი უჭირავს და წუწუნებს: «ერთსა და იგივე მამულზე გარდასახადის ქაღალდი ჩემს ქმარზე ცალკე მოსულა და ჩემზე კიდევ ცალკე; ვერც ერთხელ გადვიხდი და ვერც ორჯელ. წადით და თუ რასმეს იპოვნით სახლში, გაჰყიდეთ სუყველა, ი ვერანა მიწაცა და, რომ აღარა მექმნებარა, არ დამახებებთ თავსა?!. მამასახლისმა იცის სწორედ, რომ მარიამზე უსამართლოდ არის მოსული ორი ქაღალდი, რომლებითაც ერთს და იგივე მამულზე ორჯელ ერთმაგა სახელმწიფო გარდასახადი, მაგრამ მარტო მითი ანუგეშებს საბრალო მარიამს, რომ ვადამდე არა გეშველება რა და მერე-კი შეიძლება გასწორებაო. მაგრამ გასწორდესა კია? სანამ ბავლე მოვა, ჰეტრეს ტყავი რომ გასძვრეს?!

მამა პიროსელი.

რუსეთი

— ვერაფერი პირი თურმე უჩანს შემოდგომის ნათესებს რუსეთში სამხრეთად და სამხრეთ-დასავლეთად.

— პეტერბურგის სამოსამართლო პალატის ოლქში ირიცხებოდა შარშან 558 ნაფიცი ვექილი და 505 მათი თანაშემწე.

— პროფ. ივანოვის სახელობის თანხა ახლა უკვე 170,125 მან. ამ ფულის სარგებელი ორად უნდა იყოფოდეს ყოველ ორ წელში ერთხელ ეძლეოდეს ნახევარი პრუსიის საარხეოლოგიო ინსტიტუტს რომში და ნახევარი — პეტერბ. სამეცნიერო აკადემიის პრემიის მისასჯელად სამეცნიერო გამოკვლევათათვის.

— შესდგა ახალი საავთიაქო წესდება, რომელსაც ამ ცოტას ხანში საბოლოოდ გადასინჯავს შინაგან საქმეთა სამინისტრო.

— ავადმყოფთათვის დანიშნული ვაგონები, როცა ავადმყოფია შიგ, აისად არ უნდა გააჩერონ, არამედ პირ დაპირ უნდა მივიდეს დანიშნულს ადგილასა და მერე დეზინფექცია გაუკეთდესო.

— რუსეთშიაც-კი შემოჰკლებიათ ისეთი კაცები, რომელნიც გულ-დადებით და სიყვარულით ექცეოდნენ ხალხისათვის წასაკითხ წერილების საქმეს. პეტერბურგის კომისია ჩივის, ვერ გვიშოვია ამისთანა კაცებიო.

— სარატოვის გუბერნიიდან გლეხკაცობა თითქმის სოფლობრივ იყრება და მიდის ციმბირისკენ.

უცხოეთი

ჩინეთი. ევროპიელთა გაზეთები იუწყებიან, რომ რუსეთსა და ჩინეთს ახალი ხელ-შეკრულობა დაუდვიათ, რომელიც განახლებაა წინანდელის ხელ-შეკრულობისა მანჯურიის შესახებაო. ჩინეთის იმპერატორი მხოლოდ სახელით იწოდება მანჯურიის მფლობელად, საქმით-კი მანჯურია რუსეთისა რჩებაო. ეს ამბავი მხოლოდ ეხლახან შეუტყვიათ ტოკიოსა და იოკოგამში, პარლამენტის კრების დაწყების დროს და იაპონიის მართებლობას ისეთი თავზარი დასცემია, რომ პარლამენტის კრება გადასდო, რომ გამოარკვიოს რა გზას უნდა დაადგეს ამას შემდეგ. ჩინეთს ეს ხელშეკრულობა მხოლოდ მაშინ მიუღია, როდესაც დარწმუნდა, რომ ინგლისი და შეერთებული შტატები არავითარ დახმარებას არ გაუწევენ, თუ რუსეთთან შეტაკება მოუხდა რადგანაც მანჯურიის ბედი ამნაირად გადაწყდა, რუსეთსა და იაპონიას შესაძლოა მოლაპარაკება ჰქონდეთ მხოლოდ კორეის შესახებ, ამ მოლაპარაკებაში იმ საგანსაც ადგილი უნდა ჰქონდეს, რომ რუსეთს საიმედო და ხელმისაწდომი ნავთ-სადგური ჰქონდეს ჩინეთის სამფლობელოში, რათა პორტ-არტურსა და ვლადივოსტოკ შორის მუდმივი მისვლა-მოსვლა ჰქონდეთ რუსეთის გემებს.

იაპონია. იაპონიის მართებლობას მშვიდობიანად უნდა მოლაპარაკება და მორიგება რუსეთთან, ხოლო თვით ხალხი მოწადინებულია ომი გამოუცხადოს რუსეთსაო, — იუწყებოდნენ ევროპიელთა გაზეთები. რადგან ხალხის სურვილის გამომხატველი იაპონიაში პარლამენტია, ეგონათ, რომ პარლამენტი, შეიკრიბება თუ არა, მაშინადვე მოითხოვს ომის გამოცხადებას, მაგრამ ჯერჯერობით ეს არ მოხდა, თუმცა პარლამენტის კრება დაიწყო. პირველ კრებას თვით იმპერატორი მიკადო ესწრობა და კითხულობს სეფე სიტყვას, რომელშიაც ჯერ აღნიშნავს იაპონიის დამოკიდულებას უცხო სახელმწიფოებთან და მერე მოიხსენიებს იმ ახალ კანონ-პროექტებს, რომლებიც პარლამენტმა უნდა განიხილოს. შემდეგ მიკადო კრებას თავს ანებებს. პალატის პრეზიდენტი წინადადებას აძლევს პარლამენტს სეფე-სიტყვის პასუხი შეიმუშაოს, რომელიც იმპერატორს უნდა მოახსენდეს. როგორც დეპეშებიდგან უკვე ვიცით, წელს პარლამენტმა მთავრობის საწინააღმდეგო პასუხი მიიღო და კრება ცოტას ხნობით გადადებულია, რათა მთავრობა აწინდელი პოლიტიკური მდგომარეობა გამოარკვიოს.

მაკედონია. აჯანყება მაკედონიაში ამ ჟამად დამცხრალა, მაგრამ სამუდამოდ-კი არა, არამედ უამინდობის გამო. ხალხის მოთავეები დროებით ბულგარიას შეჰხიზნებიან. კომიტეტები კვალად ემზადებიან აჯანყებლად და თოფ-იარაღს ამზადებენ, თუმცა ოსმალეთი გაფაციცებით თვალ-ყურს ადევნებს საზღვრებსა და საბაჟოებს, მაგრამ კომიტეტები მაინც ახერხებენ დინამიტის შეტანას სავაჭრო საქონლის სახელით. დინამიტს სოფლებში ჰმალავენ, თოფ-იარაღს-კი მთა ადგილებში აგროვებენ. დინამიტი და იარაღი ნავებითა და ტივებითაც-კა შეაქვთ მაკედონიაში.

ნარკვევი

საინტერესო წერილია დაბეჭდილი გაზ. „ს. პეტ. ვედ.“-ში დღევანდელ სწავლა განათლებისა და მის უმთავრეს მიმართულების შესახებ. ავტორი ამბობს:

სურვილი ცოდნის შეძენისა, რასაკვირველია, პატივ-საცემი სურვილია და, რაკი არსებობს ასეთი სურვილი, უნდა დაკმაყოფილებულ იქმნას, ყოველ შემთხვევაში. ეგ სურვილი ისეთივე კანონიერი და სამართლიანია, როგორც სურვილი ბედნიერებისა. თუ ასე შევხედავთ საგანს, უნდა ვსთქვათ, რომ სწავლა-განათლება ყველასთვის ხელ-მისაწვდომი უნდა იყოს, მაგრამ ვაი იმ საზოგადოებას, სადაც სურვილი განათლებისა ისეთს ყალბს ნიადაგზეა აღმოცენებული, როგორც ჩვენში. ვაი იმ საზოგადოებას, სადაც სურვილი სწავლა-განათლებისა დაფუძნებულია არა ცოდნის შეძენის ცარიელს სურვილზედ, არამედ ისეთს შედარებით არა წმინდა გულის თქმაზედ, როგორც არის სურვილი ფულის შეძენისა, უფლება ძლიერებისა და ჩინ-ორდენებისა.

შემდეგ ავტორი შეეხება მშობელთა და დედ-მამათა, რომელთაც ძლიერ სურთ სწავლა-განათლება მისცენ თავიანთ შვილებს და ამტკიცებს, რომ ამაშიაც რაღაც სიყალბე სჩანსო.

იშვიათია იმისთანა მშობელი, რომელსაც საინტერესოდ მიაჩნდეს, მართლა მისი შვილი ცოდნას რასმე იძენს თუ არა სკოლაში. დიდს უმრავლესობას ისა სწყურია, მხოლოდ რომ ბავშმა კარგი ნიშნები მიიღოს და ბოლოს ლიცეუმიც გაიაროს. ბერძნულის მაგიერად რომ „სკოლა ცივნურს თხზულებდა, ხოლო გეომეტრიის მაგიერ — ეირიმალა სირეცს, დიდი უმრავლესობა «პაპაშა-მამებისა» მაინც კარგის ნიშნების მიღების სურვილით იქმნებოდა გატაცებული.

ასე მოკიდება მეცნიერებისა, ავტორის აზრით, დაუსჯელად არ ჩაივლის. თუ მეცნიერებას პატივი მოაკლდა, გაირყვნებიან და გადაგვარდებიან მისნი მსახურნი და ქურუმნიცა. ეს ისტორიული აქსიომა. მართლაც ჩვენი უვიცი მოსწავლე ახალგაზდობა ყველას აოცებს თავის უვიცობით, განუვითარებლობითაო. დიპლომისა და დიპლომიანობაზედ დამოკიდებულ უპირატესობის წყალობით სამსახურში, თითქო განზრახ ვაჩენთ მუქთახორებს, რომლების იდეალიც მხოლოდ ის არის, რომ ჩქარა ჩაიცვას მუნდირი, მიიკრან კოკარდა და საზოგადოდ „ბატონებად“ გადიქცნენო.

შეიძლა არ უნდა იყოს წყაროდ არც სამსახურის უფლებისა და უპირატესობისა, მით უმეტეს არც ისეთ საგნად, რომელიც აგრძობს ყველას, ცარიელზედ კი ფვამს უყელაზედ რაცხვ-მრავალ წოდებას — გლეხობას.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

3 დეკემბერი.

ბერდიანსკი. გემმა „აპოლონმა“ 54 მოთევზავე გადაარჩინა, ზღვაში მაინც მრავალი იღუპება.

ვილნა. დაარსდა პირველი საზოგადოება რუსეთში, რომელსაც საგნადა აქვს სამუშაო აუჩინოს ღარიბ ებრაელთ.

ტაშკენტი. დაიწვა სახლი გენერალ-გუბერნატორისა.

ნიუ-იორკი. ამერიკანის ელჩმა ალლენმა გადაწყვეტილი პასუხი მოსთხოვა კორეის მართებლობას შესახებ იმისა, რომ ნავთსადგური ი-ჩჟუ ღია იყოს ყველა სახელმწიფოსათვის. — იაპონელებისა და კორეელების შეტაკების დროს, როდესაც იაპონიის ჯარი მოკპოში ჩამოხდა გემებიდგან, 17 კორეელი დაიჭრა.

კოპენჰაგენი. დანიის მეფე ბერლინს გაემგზავრა.

ბუდაპეშტი. ვენგერთა დელეგაციას საერთო კრება ჰქონდა.

კალკუტა. ინგლისის ექსპედიციამ ტიბეტში თვისი მოწინავე რაზმი გაატარა ჟელაპის ხეობაზე წინააღმდეგობა არავის გაუწევია, ადგილობრივმა მმართველებმა ჯერ პროტესტი გამოუცხადეს, მაგრამ შემდეგ პოლკოვნიკი იონგჰუზბანდუ მეგობრულად მიიღეს.

ათინა. მინისტრ-პრეზიდენტმა რალლიმ მეფეს მიართვა თხოვნა სამსახურიდგან გადადგომისა და ურჩია პალატა არ დაითხოვოს, რადგან ქვეყანა ეკონომიურად ცუდს მდგომარეობაში არისო.

მოსკოვი. საფრანგეთსა და ამერიკას აქედგან სათამაშოები გააქვს. ამერიკამ ეხლა 100,000 მანეთის დაიკვეთა. გუბერნიის საერო სამმართველოს სახალხო განათლების კომისიამ საჭიროდ დაინახა სახალხო უმაღლესი სკოლები დაარსდეს.

იურიევი. ჰფიქრობენ დედათა უმაღლესი კურსები დაარსდეს უნივერსიტეტთან, პროფესორთა კრებული დიდად თანაუგრძნობს.

თუაფსე. საბჭო შუამდგომლობს საკომერციო ნავთსადგურის მომართვის შესახებ თუაფსეში.

ტოკიო. 3 დეკემბერს სახელმწიფოს უხუცესთა მოღვაწეთ ბჭობა ექმნებათ იმ პასუხის გამო, რომელიც რუსეთმა იაპონიას შეუთვალა. მომეტებულთა შეხედულობა სანუგეშო არ არის. კურსი თანდათან ეცემა — გაფიცული კულები, რომლების ამბოხებამ მოკპოში ჯარი გააგზავნინა, იაპონელების სამსახურში ყოფილან. კორეის მართებლობა გაარისხა იაპონელთა სამხედრო ნავის „საიენის“ კომანდირის მოქმედებამ, რადგან ხალხს სროლა დაუწყო. ამბობენ, ამ ინციდენტს მხოლოდ ადგილობრივი მნიშვნელობა ექნებაო. გაფიცვა მოკპოში იმას გამოუწვევია, რომ კორეის ექსპერტები ცუდად ეპყრობოდნენ იაპონიის ვაჭრებს. ამბობენ რუსეთის ერთს სამხედრო გემს, რომელიც ჩემულპოშია, ბრძანება მისვლია მოკპოს წავიდეს.

4 დეკემბერი.

პორტ-არტური. „ოსტაზიატიშე ლლოიდი“ აღნიშნავს თავმოყვარეობით გატაცებულ იაპონელების განზრახვას შეადგინონ სრულიად აზიის კავშირი და ურჩევს თავის დროს წინაადუდგნენ განსაცდელს, რომელიც მთელ დასავლეთის ხალხს ემუქრება. ჰრინც ცინმა მიჰმართა ამერიკის ელჩს, ძალას ნუ დაგვატანთ, რომ მუკდენის კარი ღია იყოს, ამით ჩინეთი გაჭირებულ მდგომარეობისაგან თავს იხსნისო. — ამას წინად სამეფო კარს მოხსენება წარედგინა, საჭიროა ჯარი და სამხედრო გემები ისე მოეწყოს, როგორც იაპონელებს აქვთო, და ყველგან სამხედრო სკოლები უნდა დაარსდესო. იმპერატრიცამ ორთავე მოხსენება დიდის ყურადღებით მოისმინა.

ვენა. დელეგაციების მიღების დროს თქმულს საფეო სიტყვაში გამოითქვა ის აზრი, რომ მდგომარეობა მონარქიისა საერთაშორისო საქმეში სასიკეთოა, სამთა კავშირის ადგენის გამო. ეს არის საფუძველი ჩვენის პოლიტიკისა, რომელსაც გადაწყვეტილი გაქვს, კვლავაც მივიდოთ. ხელახლად განმტკიცდა მჭიდრო ერთობა რუსეთის საბძანებლოთან ბალკანეთის საქმეთა გამო, რომელიც ხელს უწყობს აუცხილ საკითხთა მშვიდობიანად გადაწყვეტას. მაკედონიაში მომხდარ ამბოხების გამო, ამ ორ სახელმწიფოს წილად ხვდა ერთად მოქმედება მშვიდობიანობის, «სტატუსქუოს» და წესიერების დასაცველად. რუსეთი და ავსტრიის საბრძანებელი სანგარო აზრით არ მოქმედებენ, აქვთ საგნში მხოლოდ დაცვა მშვიდობიანობისა მთელის ევროპის სარგებლობისათვის და მიტომ ერთობრივ მეცადინეობენ იძულებულ-ჰყონ ოსმალეთი საჭირო დონისძიების მისაღებად, რათა ქრისტიანთა მდგომარეობა გაუმჯობესდეს, და შეაყენოს ბულგარეთის სამთავრო, ამბოხებას ხელი არ შეუწყოს. სანდო განწყობილებას სხვა სახელმწიფოებთან ხელი შეუწყო გერმანიის იმპერატორის, ხელმწიფე იმპერატორისა და ინგლისის მეფის პირადმა მოლაპარაკებამ ნახვის დროს. სერბიაში ბოროტ-მოქმედების გამო, რომელმაც ყველა განათლებული კაცი უნდა შეაძრწუნოს, დინასტია შეიცვალა. იმედი უნდა ვიქონიოთ რომ ახალი მბრძანებლის ხელმძღვანელობით, ქვეყანა ზნეობრივად აღსდგება და ბედნიერ მომავალს მიაღწევსო.

კალკუტა. მეგობრული დახვედრა თიბეტის მისიისა სასიკეთო ნიშნად მიაჩნიათ. დიდი გაჭირვება ადგიათ ბარგის გადაზიდვის დროს, რადგანაც იაკთა შორის ავადმყოფობა გაჩნდა.

ვენა. სამხედრო მინისტრმა განაცხადა, რომ დითონთა შორის ბრონზა აირჩია ახალ ზარბაზნების ჩამოსასხმელად. — ვენგერთა დე-

---

წინააღმდეგ თვისის სურვილისა, იძულებული ხდება თავი იმართლოს. ადგება ზეზე და სიმდაბლით მოახსენებს ბრალმდებელს: არა, ჩემო ბატონო, თქვენ სცდებით: რასაც თქვენ მე მწამებთ, არა თუ მისი ჩამდენი არა ვარ, პირ იქით, აი რისი მომქმედი ვარო, და, დასამტკიცებლად სიმართლისა, უტყუარ საბუთებსაც ადგენს. გამტყუნებული ბრალმდებელი, მის ნაცვლად რომ შეინანოს, სიტყვას ბანზე აგდებს, კილოს იცვლის და ახლა სულ სხვა რამეზე შესჩივის მსაჯულებს: ბატონებო, ხომ ხედავთ რა, ტრაბახა და თავ-მომწონე ვინმეაო: სულ თავის თავზე ლაპარაკობსო და თავს იქებსო, და სხვა...

მაშინ რა უნდა უთხრან მსაჯულებმა ამ ახირებულ ცილის მწამებლებს? რასაკვირველია, სრული ჭეშმარიტება გაჩუმდი! ნუ წავიგლია ენა!.. კაცს ცილსა სწამებ, ათას რამეში ამტყუნებ და სცდილობ, რომ ხმა არ ამოიღოს და თავი არ იმართლოს? რომ გაჩუმდეს, ხომ ყველას მტყუანი ეგონებო და ჩვენ, მსაჯულნი რაღა მსჯავრს დავსდებთო? ცხადია, ასე ეტყოდნენ და კუდ-ამოძუებულ გაიძვერას ვამოაბუზურებდნენ გარეთ. სწორედ ესევეა ჩვენ შესახებაც: მესამოცე წლების თაობა დამნაშავეთა სკამზე დასვეს „კვალელებმა“, მსოფლიო მსჯავრში შეიყვანეს და, როცა თავის გამართლებაზედ მიდგა საქმე, მაშინ მარილაძის პირით კიჟინასა სცემენ: „ტრაბახობენ და თავის თავზე ლაპარაკობენო და ის ანდაზაც-კი დავიწყებიათ, რომ „თავის ქება კიტრადა ღირსო“... გაგონილა ამისთანა ლოღიკა? ვის უფრო შეჰფერის ეს ზემო-მოყვანილი ანდაზა, წინა დღმას, რომლის უმეტესობა დღეს ან საფლავშია და ან ხმასაც არ იღებს თავის წარსულზე, თუ „კვალელებს“ ყარყუმივით რომ გამომხტარან გზაჯვარედინზე და იძახიან: „ჩვენ ვართ დ ჩვენი ნაბადიაო“.. თორემ ჩვენამდი სად რამე ყოფილაო?..

აი, სულ ამ გვარი ლოღიკურ-მოსაზრებით არის გატენილი თავიდან ბოლომდე ბ-ნ მარილაძის სტატია და მიტომაც ჩვენ სხვა მის ოხუნჯობას ღარ ვეხებით... სანიმუშოდ ეს ერთიცა კმარა!.. ცხადია, რომ ბ-ნ მარილაძეს, არა თუ სხვის აზრის, თავისის ნათქვამის გაგებაც არ უნდა ეხერხებოდეს, თვარემ რა ათქმევინებდა ამისთანა ობროდობას და იმასაც დინჯად, დიდის თავ მომწონობით?! „მწირი ამბობს, რომ „კვალელებს“ ბევრი სამართლე უჭირავთ ხელშიო და, თუ ეს ასეა, მაშ რაღას გვიკიჟინებს? არა, მისი ქება ფარისევლურია და ისიც — შემპარავი ძაღლი ო“. გაუმარჯოს მასხარობა!. თურმე, თუ რამე მოუწონე კაცს, სხვა მის წუნზე ხმა აღარ უნდა ამოიღო. „კვალელების“ აზრით, ან სულ დედამიწასთან უნდა გაასწორო ადამიანი და ან ცაში აიყვანო! მაგრამ ყველა ხომ მაგ აზრისა არ არის. ჩვენ ბევრი რამ მოგვწონს „კვალელებისა“ არა ყველასი, ზოგიერთებისა. მაგალითად, მათი გულწრფელობა, პირდაპირობა, მუშათა თანაგრძნობა, ერთი მეორისაგან ბატონყმურ დამოუკიდებლობის ქადაგება და სხვა, სიამოვნებითაც ვისმენთ მათ ამგვარ ჭეშმარიტებას, მაგრამ, როცა განხორციელებაზე მიდგება საქმე, მათს მოქმედებას-კი წუნსა ვსდებთ, ვერ ვეთანხმებით!.. სიბრძნე ხალხისა ამბობს: „ჯერ თავო და თავო მერე ცოლო და შვილოო“, „შინ რომ ცოლშვილი შიმშილით გიწყდებოდეს, გარეთ ტაბლას რა გრჯისო“? ეს ჭეშმარიტება ვერ შეუგნიათ მარილაძეებს და ფეხის ხმის აყოლით გარეშეთა ფერხულში ცუნდრუკობენ. მართალია, მაღალის ხმით გაიძახიან ბ-ნი „კვალები“, მაგრამ რა გამოვიდა? „სიტყვა სხვაა, საქმე სხვა.“. სიტყვა იმდენად საადვილოა, რომ სხვის ნათქვამს ჩიტებიც-კი იმეორებენ ხოლმე: „შია შოშიასო“! „პური შოშიას!“ წამოიძახებს ხოლმე გალიაში მყოფი შოშია, მაგრამ ამას მხოლოდ მიმბაძაობით იძახის და გალიიდგან გამოსული, საქმეზე რომ მიდგება საქმე, პურის მაგიერად ხვინჭკებს დაჰკრავს ხოლმე ნისკარტს, „წყალ-ტაშტი მარტიას!“ ჩხავის კაჭკაჭი, მაგრამ საქმით-კი ვერც ტაშტს მოიმზადებს და ვერც წყალს დაისხამს... თქმა ადვილია, კაკეთება-კი ძნელი. გაკეთებას ნიჭი და ცოდნა უნდა. წახდენას და დანგრევას მხოლოდ უაზროდ ხელის განძრევა. ვინც აშენებს რასმე, ვინც აკეთებს, მხოლოდ იმას ჰქვიან მუში დაპ ვინც სხვის ნამოღვაწევს ანგრევს, იმას-კი გიჟი-გადარეული.. ჩვენ, რასაკვირველია, ამგვარ რამეებს არა ეწამებთ „კვალელებს“, მაგრამ ბევრ რამეს-კი წამოიძახებენ ხოლმე მისთანას, რაც არ შეეფერება ჩვენს ცხოვრებას... შინ მოკეთეს ატკენს გულს და გარედ მტერს გაახარებს. აბა, რა სათქმელია: „წარსული ველივით გვეზიზღება“ და „აწმყო ჭირივით გვეჯავრებაო“? მაშ, რაღა გიყვარს მამა-პაპათა საფლავის მგმობელო? და ვიღაზედ ზრუნავ თუ თანამედროვება გეჯავრება? საიდან გინდა გამოახტუნო მომავალი? გაგიგონია, „ალია მომკვდარაო და რომელი ალია და სად, კი არ იცი“.

ეტყობა, რომ ბ-ნი მარილაძე ვერ შერიგებია იმ მოსაზრებას, რომ გიორგი წერეთელს ვერ მოუვიდა კარგი მიმრქმელობა და ანარეკლის ანარეკლი მიიღო ნამდვილ მარქსელად!.. და გაკვირვებით იძახის: თუ ჩვენ არა ვართ! მაშ ვინ-და უნდა იყოს ის მომავალი თაობა, რომელსაც ზოგიერთი მესამოცე წლების მშრომელთაგანნი ნატრობდნენ და მოელოდნენო? აქ გასაკვირველი არა არის-რა, თუ დღევანდელების უმეტესობა ცრუმარქსელად მიგვაჩნია და მათ შეცდომას, გინდ უნებურიც იყოს, ტაშის კვრით არ ვეგებებით!.. ჩვენ გვინდა იმისთანა თაობა, რომელიც გამარგლულ და გამტკიცულ წარსულსა და აწმყოზე დაამყარებს მომავალს, ხალხის მოძმე იქნება ჭირშიაც და ლხინშიაც, მარტო სიტყვით-კი არა, საქმითაც.

სიყვარულით, მოციქულებრივ მიაწოდებ ერთად ხორციელთან სულიერ საზრდოსაც, რომ დღევანდელმა დროთა უკუღმართობისაგან დაჩაგრულმა უმეტესობამ შეიგნოს ადამიანური ღირსება, ფასი დასდოს თავის თავს, რომ ვეღარავინ ჩაგვრიდეს. ხოლო ამისათვის საჭიროა პატიოსან სამუშაო საჭურველის ხელში დაჭერა და არა სამსხვრევის კეტის წარამარა ტრიალი. როცა უკეთესის მოსურნე ძველს ანგრევს, იმავე დროს მასალასაც უნდა ამზადებდეს ახლისთვის.. და მაშინ დაიმკვიდრებს „აღმაშენებლის“ სახელს; თორემ ვინც მხოლოდ ანგრევს და ანგრევს, იმას სხვა სახელი ჰქვიან!.. და რაც უნდა ეცადონ მარილაძეებ, ვემოს ვერ მისცემენ და „კვალის“ მეთაურებს სახელს ვერ მოუპოვებენ!..

აკაკი.

ლეგაციის გარეშე საქმეთა კომისიამ გოლუხოვსკის განმარტება დიდის თანაგრძნობით მოისმინა. გოლუხოვსკიმ დელეგაციის სიტყვით მიჰმართა, რომელშიაც აღნიშნა, რომ რუსეთთან კეთილ-განწყობილება ძლიერდება და მკვიდრდება. გოლუხოვსკიმ აღნიშნა, რომ ბალკანეთის შესახებ სრული თანხმობა არსებობს პეტერბურგისა და ვენის კაბინეტთა შორის. მინისტრი აქებს საბერძნეთისა და რუმინიის თავდაჭერილობას არეულობის დროს აღმოსავლეთის მხარეს.

პეტერბურგი შინაგან საქმეთა მინისტრმა ნება დართო 1 იანვრიდამ 1904 წ. ჟურნალ „რაზვლეჩენიეს" გამოცემისა.— ხელმწიფე იმპერატორმა უწმიდესის სინოდის მოხსენების გამო უმაღლესად დანიშნა უფლად-სამღვდელონი: უფისა კლიმენტი ბოდოლის და ბრაცლავის ეპისკოპოსად, ბოდოლისა ქრისტეფორე—უფის და მენზელის ეპისკოპოსად, ეკატერინბურგისა ნიკანორი—გროდნენის და ბრესტის ეპისკოპოსად, გროდნენისა იოაკიმე—ორენბურგისა და ურალისად და ორენბურგისა ვლადიმერი—ეკატერინბურგის და ირბიტისად.

პეტერბურგის ბირჟა 25 ნოემბერი.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	93,80
ბერლინში 100 მარკაში	45,90
პარიჟში 100 ფრანკში	37,32 1/2
ლონდონში ჩეკები	94,75
ბერლინში „	46,30
პარიჟში „	37,62 1/2
ბირჟის დისკონტი	5—6 1/2 %
4% სახელმწიფო რენტა	99 1/2 გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. სადგ. მამულთა ბანკისა	95 1/8 გაყ.
5% პირ. შინაგ. მოგ. ბილ. 1864 წ.	457 1/2 გაყიდ.
5% მეორე შინაგ. სესხის მოგებ. ბილ. 1866 წ.	342 წვ. გაყ.
5% გირავნ. ფურც. სახელმ. სადგ.-მამ. ბანკისა	290 1/2 გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4 1/2% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
4 1/2% ტფილ. სადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	—
5% გირავნობ ფურც. იმავე ბანკისა	92 1/8 წვ. გაყ.
6% ქუთ. სად. მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—

რკინის გზის მიმოსვლა.

15 ოქტომბრიდან 1903 წ.

(ნაჩვენებია ტფილისის საათით)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათომს: 1) დილის 8 ს. 8 წ. 2) საღამოს 6 ს. 28 წ. 3) შუადღის 2 ს. 58 წ. (მხოლოდ ბორჯომამდე).

ბაქოს: 1) შუადღის 1 ს. 8 წ. 2) საღამოს 10 ს. 28 წ. 3) დილის 7 ს. 34 წ. 4) საღამოს 5 ს. 28 წ. (**მოსკოვს** მიმავალი, მხოლოდ სამშაბათობით).

ყარს-ერევანს: 1) შუადღის 1 ს. 28 წ. 2) საღამოს 11 ს. 13 წ.

ბ) ბათომიდან გამოდის:

ტფილის-ბაქოსაკენ: 1) დილის 9 ს. 32 წ. 2) ღამის 12 ს. 8 წ.

გ) ბაქოდან:

ტფილის-ბათომისაკენ: 1) შუადღის 1 ს. 48 წ. 2) ღამის 11 ს. 28 წ. 3) დილის 4 ს. 48 წ. (მხოლოდ პარასკევობით); 4) დილის 4 ს. 8 წ.

დ) ქუთაისიდან:

ბათომისაკენ: 1) შუადღის 3 ს. 18 წ. 2) ღამის 1 ს. 58 წ.

ტფილის-ბაქოსაკენ: ღამის 3 ს. 58 წ.

ე) შორაპნიდან:

ჭიათურა-დარკვეთისაკენ: 1) დილის 6 ს. 58 წ. 2) საღამოს 5 ს. 58 წ.

ვ) დარკვეთიდან:

შორაპნისაკენ: 1) დილის 11 ს. 43 წ. 2) ღამის 10 ს. 8 წ.

გამოსადეგი ცნობები.

საეკკლესიო მუზეუმი

(სიონის ტაძრის ეზოში)

დათვალიერება შეიძლება სამშაბათობითა და ხუთშაბათობით 9—11 საათამდე და კვირაობით 10—1 საათამდე, ისაც სხვა დროსა სურს დათვალიერება, შეუძლიან მიჰმართოს მუზეუმის გამგეს—ბ-ნ მოსე ჯანაშვილს (მინკვიცის ქ. № 27)

დაწესდა დღე და ღამ მორიგეობა ბებია-ქალთა ქალაქის სამკურნალოში, რომელიც მუხრანის ქუჩაზეა და ოლგის საბებიო ინსტიტუტში.

ყველამ, ვისაც დასჭირდება ბებია-ქალი ორსულთა, მშობიარეთა და მელოგინეთა პირველ დახმარებისათვის, უნდა შეიტანოს ახლად დაარსებულ ბებია-ქალთა დამხმარებელ საზოგადოების სასარგებლოდ ერთი მანეთი.

ტფილისის საზოგადო წიგნთ-საცავი

(მთავარ-მართებლის სასახლის პირდაპირ)

1 აპრილიდან 1 ოკდომბრამდე იღება საათზედა იკეტება 6 საათზე შუადღის შემდეგ.

1 ოკდომბრიდან 1 აპრილამდე იღება 12 საათზე და იკეტება 5 საათზე შუადღის შემდეგ. წიგნთ-საცავში მრავალ რუსულ, ქართულ, სომხურსა და ევროპიულ წიგნებს გარდა, ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთობაც არის. მკითხველთათვის დიდი დარბაზია მოწყობილი. შესვლა უფასოა.

კვირა-უქმე დღეს წიგნთ-საცავი დაკეტილია; ზაფხულობითაც 15 აგვისტომდე დაკეტილია.

ეტლების სიარული ტფილისსა და თელავს შორის.

მამულოვის დილიჟანსი გადის ტფილისიდგან ყოველ დღე დილის 6 საათზედ, თელავიდგან ტფილისს ჩამოდის საღამოს 7 საათზე. ფასი დახურ ეტლში 4 მან., კოზლაზედ—3 მან. (კანტორა იმყოფება ავლაბარში, კახეთის მოედანზე).

ეტლების სიარული ტფილისსა და სიღნაღს შორის.

აბოევის დილიჟანსი გადის ტფილისიდგან ყოველ დღე დილის 6 საათზე. სიღნაღიდგან ტფილისში ჩამოდის საღამოს 7 საათზე. ფასი კაცზე ვადიან დილიჟანსკი—4 მან., უვადოში—3 მან.

კავკასიის მუზეუმი

(მთავარ-მართებლის სასახლის პირდაპირ)

დათვალიერება შეიძლება სამშაბათს, პარასკევსა და კვირა დღეს, დილის 10 საათიდან 3 საათამდე. შესვლა ერთი აბაზია.

პირუტყვთა სამკურნალო.

მის იმპერატორებითის უმაღლესობის დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის სახელობაზედ დაარსებული პირუტყვთა მფარველი საზოგადოების საკუთარს სახლში, რიყის ქუჩაზე № 12, ტელეფონი № 536.

ავადმყოფ პირუტყვს სინჯავს ბეითალი კ. ა. ატრენოვი დილის 8 საათიდგან 10-მდე და საღამოს 5 საათიდგან 7-მდე. ამას გარდა სხვა ბეითლებიც რიგ-რიგად იმყოფებიან სამკურნალოში: ბეითალი ნ. ბრიუკსი 1 1/2-დგან 2-მდე და ა. არტემოვიჩი—4-დგან 5-მდე. სამკურნალოში არის ბაგა ავადმყოფ პირუტყვთათვის, სადაც დაეტევა 12 სხვილი და 28 წვრილი საქონელი, ანუ ფრინველი. სამკურნალო იღებს წამლობისათვის და რჩევისათვის თითო სულზე 20 კაპ. სამკურნალოში ოპერაციებსაც უკეთებენ პირუტყვებს.

ნიხრი ხორცისა.

საქონლის ხორცი:

1 ხარისხისა გირვანქა	11 კ.
2 „	8 კ.
3 „	6 კ.
სუკი	15 კ.
ცხვრის ხორცი	10 კ.
კამეჩისა	7 კ.
ღორისა	
1 ხარისხის (საკატლეტე)	11 კ.
2 „ (ბარძაყი)	10 კ.
3 „ (დანარჩენი ნაწილი, ტყავებული)	8 კ.

ნიხრი პურისა.

თორნეში გამომცხვარი

1 ხარისხისა	5 კ.
2 „	3 1/2 კ.
3	3 კ.

მიმოსვლა ეტლებისა კავკასიის გზით.

კარეტა ვადიანი გადის ტფილისიდგან კავკავს 7-სა და 8 საათზედ დილით, ღამე ჩერდება მლეთში და კავკავს მიდის საღამოს 7 საათზე.

გარდასახადი:

1 კლასით	15 მან.
2 „	10 „
3 „	5 „

ლინეიკა გადის ტფილისიდგან ნაშუადღევის 3 საათზე, ღამე არსადა ჩერდება.

გარდასახადი:

1 ადგილისა	6 მ. 80 კ.
2 „	4 „ 80 „

ნიხრი ეტლებით მიმოსვლისა

ქ. ტფილისში.

საათობით	60 კ.
ერთ გზობით	30 „
ქალაქიდგან ავლაბარში	40 „
ნავთლუღში	50 „
ავლაბრიდგან ნავთლუღს	30 „
ნათლუღიდგან ქალაქს	40 „
ქალაქიდან და ავლაბრიდგან რკინის გზის სადგურამდე	50 „
იქვე ნახევარ საათის გაჩერება და უკან დაბრუნება	80 „
ქალაქიდგან და ავლაბრიდგან მუშთეიდის ბაღში და დიდუბეს	40 „
იქვე ნახევარ საათის გაჩერება და უკან დაბრუნება	1 მ.
ქალაქიდგან ორთაჭალას, საპყრობილემდე	80 კ. „
კრწანისის ბაღამდე	80 „
ნათლუღიდან რკინის გზის სადგურსა და მუშთეიდის ბაღამდე	80 „
რკინის გზის სადგურიდან ქალაქსა და ავლაბარს	60 კ.
იქიდამ ნათლუღამდე	1—20

იქ თუ რკინის გზის მატარებელმა დაიგვიანა, ყოველ ნახევარ საათში 30 კაპ. ემატება.

მართლმადიდებელთა სასაფლაომდე 50 კ.

ეს ნიხრი სავალდებულოა ღამის 1-ლი საათამდე; შემდეგ-კი 1 ოკდომბრიდგან 1 აპრილამდე ერთგზობით უნდა მიეცეს 50 კ. ხოლო 1 აპრილიდგან 1 ოკდომბრამდე 30 კ.

განცხადებანი

გამგეობა

ტფილისის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკისა

ამით აცხადებს, რომ 11 ამა დეკემბერს, შუადღის 12 საათზე, ბანკის სადგომში, საჯარო ფას-აღუნიშვნელი ვაჭრობა იქმნება. გასასყიდად უძრავის მამულისა, რომელიც ეკუთვნოდა გევორქ კარაპეტას მე მარხაიანცს, ბანკს დარჩა, რადგან საჯარო ვაჭრობის დროს არ გაიყიდა, და ბანკზედვე დამტკიცდა.

ეს მამული არის ქ. ტფილისის ძველიდ სამოლიციო ნაწილში, ფერისცვალების (პრეობრაჟენსკის) ქუჩაზე, მეტეხის აღმართის მახლობლად, და შესდგება ორ-სართულიან სახლისაგან, რომელშიაც ათი საცხოვრებელი ოთახია, სხვა საოჯახო მოწყობილობის გარდა, მიწა შენობისა და ეზოს ქვეშ სივრცით არის საბუთის ქაღალდებით 37 ჩორსი საჟენი.

ვაჭრობა დაიწყება 5,200 მანათიდგან და ვისაცა ჰსურს ვაჭრობაში მონაწილეობა მიიღოს, 200 მანათი უნდა წარადგინოს ვაჭრობის დაწყებამდე.

სხვა პირობები ვაჭრობისა და დაწვრილებითი ცნობანი სავაჭრო ფურცელშია აღნიშნული, რომელიც მსურველთ შეუძლიანთ განიხილონ ბანკის კანცელარიაში ყოველ საქმის დღეს. 3—6.—1

ყველა

ადვილად და პატიოსნურად იშოვის თვეში 400 მანეთს, არც დიდი ცოდნაა საჭირო და არც ხარჯი, მხოლოდ ჩქარა გამოგზავნეთ თქვენი

ადრესი: U. 111 an des Annoncen-Bureau des Merkur in Mannheim Meerfeldstrasse, 44. (50—24)

ქუთაისში ს. ბ. თოფურიას **სამკურნალოში**, რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ, 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიული გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდები სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ფასი დღე-ღამეში ჭამა-სმისა და მკურნალობისათვის 1 მანათიდან 3 მანეთამდე.

ამერიკულ ვაზის სანერგეში

კლო-ყგუროულში

დაიწყო გაყიდვა დამყნილ დაფესვიანებულ ვაზებისა. იყიდება აგრეთვე ვაზის რქები საუკეთესო ჯიშისა, როგორც ადგილობრივი, ისე ბორდოსი, ბურგუნდიისა, შამპანიისა, რეინის და სხვა. მრავლად არის როგორც რქა, ისე დაფესვიანებული გიბრიდი, აგრეთვე ამერიკული ჯიშები სამყნობად და დედა ვაზისთვის მშრალ, წიტით, მჟავ, მძიმე და სხვა ნიადაგისათვის. სანერგეში 700 სხვა-და-სხვა ჯიშის ვაზია. პრეისკურანტები დაახლოვდება უსასყიდლოდ.

შემთხვევით გვაქვს 20,000 ორი წლის ნამყენი რუპესტრისზე „Cattaratu" კატარატუ, ჯიში, რომელიც იძლევა შესანიშნავ ღვინოს «მარსალას».

ადრესი: წერილებისა და დეპეშებისათვის: В. Тьебо. Кутаисъ.

გამოვიდა და იყიდება ყველგან ახალი გამოცემა „წერა-კითხვის საზოგადოებისა" № 63.

შოთა რუსთაველის

ვეფხის ტყაოსანი

4 პორტრეტითა და 21 სურათით, დ. კარიჭაშვილის წინასიტყვაობით, შენიშვნებითა და ვრცელის ლექსიკონით.

XXX+361 გვ. ფასი სამი აბაზი.

50 ცალი დაბეჭდილია სქელ ქაღალდზედ და თითო ცალი ღირს ერთი მან.

ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1904 ГОДЪ

на ежемѣсячный литературно-историческій журналъ

„Вѣстникъ Иностранной Литерату ы"

Четырнадцатый годъ изданія „Вѣстника Иностранной Литературы" будетъ отмѣченъ однимъ существеннымъ улучшеніемъ: статьи и замѣтки „Заграничной Хроники"—обо всѣхъ выдающихся событіяхъ заграничной политической и общественной жизни, обо всѣхъ наиболѣе значительныхъ иностранныхъ изобрѣтеніяхъ и открытіяхъ въ области науки и прикладныхъ знаній, обо всѣхъ крупныхъ и характерныхъ явленіяхъ въ литературѣ, театрѣ, музыкѣ и искусствѣ—будутъ сопровождаться по мѣрѣ надобности иллюстраціями въ текстѣ и дадутъ возможность еще болѣе расширить содержаніе „Заграничной Хроники", такъ какъ многія статьи заграничныхъ иллюстрированныхъ изданій раньше не заимствовались „Вѣстникомъ" только потому, что нуждались въ пояснительныхъ рисункахъ. Такимъ образомъ ежемѣсячная лѣтопись иностранной политической, общественной, научной, литературной и художественной жизни, помѣщаемая въ „Вѣстникѣ" въ семи отдѣлахъ „Заграничной Хроники", съ 1904 года будетъ распадаться въ каждой книгѣ журнала на двѣ части: иллюстрированную и неиллюстрированную. Подобное нововведеніе, несомнѣнно, благопріятно отразится на интересѣ, полнотѣ и разнообразіи содержанія „Заграничной Хроники", въ которой найдутъ также мѣсто и необходимыя пояснительныя иллюстраціи къ очеркамъ и статьямъ, помѣщеннымъ среди романовъ, повѣстей и разсказовъ, равно какъ и портреты авторовъ-беллетристовъ вмѣстѣ съ ихъ біографическими очерками. Кромѣ того, ежемѣсячно въ „Вѣстникѣ" съ 1904 года будутъ помѣщаться: обзоръ западно-европейской жизни въ карикатурахъ, заимствованныхъ изъ лучшихъ французскихъ, нѣмецкихъ, англійскихъ, американскихъ и итальянскихъ газетъ и журналовъ, критическій обзоръ по возможности всѣхъ заслуживающихъ вниманія новинокъ нашей переводной литературы, а также самостоятельныхъ сочиненій и статей (въ газетахъ и журналахъ) русскихъ писателей по различнымъ вопросамъ иностранной жизни, науки, литературы и искусства.

За послѣднее пятилѣтіе (1899—1903) „Вѣстникъ" ежегодно давалъ своимъ читателямъ до 6000 страницъ разнообразнаго текста и въ томъ числѣ, кромѣ цѣлаго ряда статей, очерковъ и стихотвореній, до 100 романовъ, повѣстей, разсказовъ и драматическихъ произведеній, принадлежащихъ перу талантливѣйшихъ иностранныхъ писателей. Въ 1904 году, попрежнему стремясь къ наилучшему выполненію своей главной задачи—давать общедоступное, разнообразное литературно-художественное чтеніе, „Вѣстникъ" помѣститъ на своихъ страницахъ рядъ выдающихся беллетристическихъ произведеній, которыя будутъ поименованы въ декабрьской книгѣ за нынѣшній годъ.

За шесть послѣднихъ лѣтъ выдавъ своимъ подписчикамъ въ видѣ отдѣльныхъ иллюстрированныхъ приложеній такія классическія произведенія, какъ „Декамеронъ" Боккаччіо „Собраніе сочиненій Мольера", „Фаустъ" Гете, „Жилъ Блазъ" Лесажа, „Исповѣдь" Руссо, и помѣстивъ въ „Вѣстникѣ" съ отдѣльной нумераціей страницъ такія обширныя иллюстрированныя монографіи, какъ „Всемірные сатирики и юмористы", Женщина въ жизни великихъ людей", Знаменитые актеры и актрисы", „Исторія карикатуры съ древнѣйшихъ временъ до нашихъ дней", редакція и въ 1904 году не отступитъ отъ этого обычая.

Подписчики на „ВѢСТНИКЪ" въ 1904 году получатъ

БЕЗПЛАТНОЕ

ОТДѢЛЬНОЕ ПРИЛОЖЕНІЕ-

ПЕРВЫЕ ДВА ТОМА

ПОЛНАГО СОБРАНІЯ ПѢСЕНЪ БЕРАНЖЕ

въ переводахъ русскихъ поэтовъ. съ многочисленными иллюстраціями и автобіографіей знаменитаго французскаго поэта.

полное собраніе составитъ четыре тома, каждый не менѣе 20 печатныхъ листовъ, т. е. 320 страницъ.

третій и четвертый томы будутъ даны въ видѣ безплатнаго приложенія Гг. подписчикамъ на „Вѣстникъ" 1905 года.

Съ январской же книги 1904 г., съ отдѣльной нумераціей страницъ, будутъ печататся въ „Вѣстникѣ" два другія приложенія, а именно:

„Исторія сношеній человѣка съ дьяволомъ"

и

„Легенды европейскихъ народовъ",

Въ обильно иллюстрированной „Исторіи сношеній человѣка съ дьяволомъ" читатели найдутъ интересно составленный, первый въ нашей литературѣ, опытъ монографіи (болѣе 25 печатныхъ листовъ, или 400 страницъ), на основаніи капитальнѣйшихъ трудовъ по оккультизму, демонологіи и ученію каббалы французскихъ, нѣмецкихъ и англійскихъ изслѣдователей и, между прочимъ, на основаніи сочиненія директора психофизической лабораторіи Копенгагенскаго университета Лемана, подробно изучившаго вопросы о демонизмѣ и колдовствѣ въ ихъ историческомъ развитіи, съ древнѣйшихъ временъ до нашихъ дней. Для XIX вѣка составитель воспользуется двухтомнымъ трудомъ Батайля, подробно разсказывающаго о новѣйшемъ сатанизмѣ, имѣющемъ тайныхъ послѣдователей и въ Европѣ, и въ Америкѣ— въ Чарльстоунѣ, гдѣ находится центральное капище сатаны, въ Берлинѣ, Римѣ и Парижѣ.

Въ монографіи подъ заглавіемъ „Легенды европейскихъ народовъ" читатели ознакомятся въ многочисленныхъ типическихъ образцахъ съ одной изъ любопытнѣйшихъ сторонъ духовнаго творчества славянской, германской, латинской и англо-саксонской расъ. Въ этой монографіи будутъ помѣщены цѣликомъ или въ изложеніи съ поясненіями какъ древне-христіанскія и средневѣковыя легенды, пережившія многія столѣтія и нынѣ извѣстныя въ поэтическихъ обработкахъ писателей разныхъ странъ, такъ и легенды мѣстнаго характера, какъ напримѣръ, наши раскольничьи. Для ознакомленія читателей съ легендами средневѣковыми послужитъ, между прочимъ, талантливый трудъ Гастона Пари, недавно умершаго французскаго академика, знатока средневѣковой поэзіи.

подписная цѣна на 1904 годъ остается прежняя:

без доставки и пересылки **4 РУБ. 50 КОП.** || съ доставкою и пересылкою **5 РУБ.**

Желающіе получить отдѣльное приложеніе въ изящныхъ коленкоровыхъ золотомъ тисненныхъ переплетахъ приплачиваютъ по 60 к. за каждый томъ.

—**отдѣльныя крышки по 50 к., съ пересылкою по 70 к.**—

Г г. служащіе въ казенныхъ и частныхъ учрежденіяхъ пользуются разсрочкою за поручительствомъ гг. казначеевъ и лицъ, завѣдующихъ подпискою.

ПОДПИСКА ПРИНИМАЕТСЯ: въ С.-Петербургѣ—въ Конторѣ Редакціи: гостиный дворъ, Зеркальная линія, № 63. магазинъ Пантелѣева (прот. Пажескаго Корп.), въ Москвѣ—въ Конторѣ Н. Н. Печковской, Петровскія линіи, а гг. иногородніе благоволятъ адресоватся въ редакцію—С.-Петербургъ, Верейская ул., д. № 16.

За Редактора—издатель П. Ѳ. Пантелѣевъ.

Дозволено цензурою тифлис 4 декабря 1903г. Типографія Е. И. Хеладзэ Русскій базаръ, домъ армяно-григ. семинаріи [illegible]